



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 8 „ 14 „ 06 2019წ

დადგენილება № 29

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო
 პროგრამის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება ჩაბარდეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს და განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. საფუძველი: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 29 მაისის N04/02 გადაწყვეტილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაიტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე